სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 29 მაისი, 2023
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (ელექტრონული ფოსტის გამოყენებით)

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, ნათია კორკოტაძე, ციცინო ცხვედიანი, თორნიკე ბაქრაძე, ინგა სეხნიაშვილი, რაისა ლიპარტელიანი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ხათუნა კავლელაშვილის, ნათია ცარციძის, გვანცა ბარბაქაძის, გიორგი ხორბალაძის, ზურაბ კაპანაძის, ნათია წიპტაურის, ინა მელაძის, ლია მამიაშვილის, რუსუდან დიდიძის, ნათია პიტიურიშვილის, შალვა მანაგაძის, მარიამ ნიჟარაძის, ქეთევან ლორიას, ელენე ქორიძის, ქეთევან გორგასლიძის, მარიამ მაჩაიძის, ლელა შავდათუაშვილის, ასლან ხმალაძის, თამარ გამეზარდაშვილის, მარიამ ბეკოშვილის, ნია ჭავჭანიძის, მარიამ ახვლედიანის, ანა ბიძიაშვილის და რუსუდან სულამანიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის

დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხათუნა კავლელაშვილის, ნათია ცარციძის, გვანცა ბარბაქაძის, გიორგი ხორბალაძის, ზურაბ კაპანაძის, ნათია წიპტაურის, ინა მელაძის, ლია მამიაშვილის, რუსუდან დიდიძის, ნათია პიტიურიშვილის, შალვა მანაგაძის, მარიამ ნიჟარაძის, ქეთევან ლორიას, ელენე ქორიძის, ქეთევან გორგასლიძის, მარიამ მაჩაიძის, ლელა შავდათუაშვილის, ასლან ხმალაძის, თამარ გამეზარდაშვილის, მარიამ ბეკოშვილის, ნია ჭავჭანიძის, მარიამ ახვლედიანის, ანა ბიძიაშვილის და რუსუდან სულამანიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) ლაშა მერაბიშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3-თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ “საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლაშა მერაბიშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ნოდარ ბიძინაშვილის, ირაკლი ცაავას, მზია სოლომნიშვილის, გივი ღვინიაშვილის, მაკა გოგოხიას, ანა ბაიაძის, რუსუდან გერგაულის, ენვერ ადაძის და მაიზერ ბაბლუანის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნოდარ ბიძინაშვილის, ირაკლი ცაავას, მზია სოლომნიშვილის, გივი ღვინიაშვილის, მაკა გოგოხიას, ანა ბაიაძის, რუსუდან გერგაულის, ენვერ ადაძის და მაიზერ ბაბლუანის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ რუსუდან სულამანიძის და ლაშა მერაბიშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს რუსუდან სულამანიძის და ლაშა მერაბიშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე